



2821/3-106/22 2 29032022

2821/3-106/22
29-03-2022

საქართველოს თავდაცვის მინისტრს
ბატონ ჯუანშერ ბურჭულაძეს

ბატონო ჯუანშერ,

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის 1-ლი პუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის შესაბამისად, მოგმართავთ საქართველოს პარლამენტის წევრის კითხვით.

გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია სარგებლობენ თუ არა თქვენდამი დაქვემდებარებულ უწყებაში რაიმე სახის საშელავათო ან საკომპენსაციო მიდგომებით მაღალმთიან რეგიონებში მოსამსახურე სამხედრო პირები.

პატივისცემით

პარლამენტის წევრი
ვლადიმერ ჩაჩიბაია



საქართველოს თავდაცვის მინისტრი



MOD 4 22 00444761

18.04.2022

საქართველოს პარლამენტის წევრს
ბატონ ვლადიმერ ჩაჩიბაიას

ბატონო ვლადიმერ,

თქვენი 2022 წლის 29 მარტის №2821/3-106/22 (რეგისტრაციის №357343) წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ 2020 წლის დეკემბრიდან, "საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 15 იანვრის №1 ბრძანების 24¹-ე მუხლის თანახმად, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის უფროს სერჟანტ ზაზა ფერაძის სახელობის საწყისი საბრძოლო მომზადების ცენტრის საკონტრაქტო (პროფესიული), კადრის სამხედრო მოსამსახურეებს და სამოქალაქო პირებს მაღალმთიან რეგიონში სამსახურისათვის ეძლევათ ყოველთვიური დანამატი 250 ლარის ოდენობით.

ამასთან, როგორც თქვენთვის ცნობილია, „საქართველოს საგადასახადო კოდექსის“ 82-ე მუხლის მე-2 პუნქტი ითვალისწინებს მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები გარკვეული კატეგორიის პირებისთვის საშემოსავლო შეღავათებს, რომლებიც ასევე ვრცელდება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეებზე.

პატივისცემით,

მმართველობა
მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი
ლელა ჩიქოვანი

